ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 611

25 ნოემბერი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქი №1-ში (საკადასტრო კოდი: №81.03.17.003 და №81.03.17.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქ №1-ში (საკადასტრო კოდი: №81.03.17.003 და №81.03.17.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 9 ნოემბრის №22.1718.1850 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქ №1-ში (საკადასტრო კოდი: №81.03.17.003 და №81.03.17.004) მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი N1

ქალაქ თბილისი, ზემო ფონიჭალა, სამხედრო ქალაქი N1 (საკადასტრო კოდები: N81.03.17.004 და 81.03.17.003)

N	სახელი გვარი	პირადი ნომერი	სართული, ბინის ნომერი	ფართი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი
1	მაია კურატაშვილი	13001012633	სართული 1	57.49	81.03.17.004.01.500
			სხვენი	27.53	
2	დავით მანჯავიძე	21001029349	სართული 1	54.47	81.03.17.003.01.500
			სხვენი	27.06	81.03.17.003.01.501